

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი#8

21 აგვისტო 2023 წელი

ქ.ბაღდათი

10.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა:

ზაზა ზივზივაძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

დიომიდე კიკნაველიძე  
შადიმან გორგოძე  
მურად ბურჯანაძე  
გიორგი კოტორეიშვილი  
გია სახამბერიძე  
ზვიად გუმბერიძე  
კახა კოხობე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ეკატერინე მშვილდაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივი დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი: თინა აბულაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივი დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების სამსახურის წარმომადგენელი: გიგა ლომინაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი:  
გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

### დღის წესრიგი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის სპორადული და სისტემური რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ.

მომხს. ეკატერინე მშვილდაძე

2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP)“-ის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თინა აბულაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილოს დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ს მ ი ნ ე ს: საკითხი 1 კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ზივზივაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის სპორადული და სისტემური რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ეკატერინე მშვილდაძე

კომისიის წევრი: მურად ბურჯანაძემ კითხვით მიმართა ეკატერინე მშვილდაძეს, რომ სოფლის წარმომადგენლების გარეშე ხდება მიწის რეგისტრირება ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ეკატერინე მშვილდაძემ უპასუხა, მურად ბურჯანაძეს, რომ თვითონ არეგისტრირებენ ამზომველები და ნახაზის შედგენის შემთხვევაში თუ არის თანხმობა მიწის მეპატრონე აწერს ელექტრონულად ხელს

კომისიის წევრი: დიომიდე კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ეკატერინე მშვილდაძეს, მიწის სისტემური რეგისტრაცია სოფ. როხში დასრულდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ეკატერინე მშვილდაძემ უპასუხა დიომიდე კიკნაველიძეს, რომ მიწის სისტემური რეგისტრაცია სოფ. როხში არ არის დასრულებული ცოტა არის დარჩენილი დასარეგისტრირებელი

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის სპორადული და სისტემური რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ მიიღო ცნობის სახით

მ ო ს მ ი ნ ე ს: საკითხი<sup>2</sup> კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ზივზივაძემ წარმოადგინა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP)“-ის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა თინა აბულაძემ, გიგა ლომინაძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების სამსახურის წარმომადგენელი: გიგა ლომინაძემ განაცხადა, რომ გარე განათებები შესაცვლელი იქნება ენერჯის დაზოგვის მიზნით და ასევე შენობების დათბუნა უნდა გაკეთდეს არსებული სტანდარტების შესაბამისად

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ზივზივაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP)“-ის დამტკიცების შესახებ. მიიღოს კომისიამ და გატანილი იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე.

კომისიამ გადაწყვიტა:

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP)“-ის დამტკიცების შესახებ. მიიღოს კომისიამ და გატანილი იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

